საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030143745578618

№ 01-152/მ **14 / ივნისი / 2018 წ.**

სოფიკო ბელქანიასა და ხათუნა ჩაჩავას მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. სტამბოლში, „Koç University Hospital“-ისა და „American Hospital“-ის ორგანიზებით, დაგეგმილ სამუშაო შეხვედრაში (სამედიცინო ტურიზმის სფეროში მომავალი თანამშრომლობის ღონისძიებების განხილვა) მონაწილეობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის 21 ივნისიდან 2018 წლის 25 ივნისის ჩათვლით, თურქეთის რესპუბლიკაში, ქ. სტამბოლში, მივლინებულ იქნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **სოფიკო ბელქანია** და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **ხათუნა ჩაჩავა.**

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მგზავრობისა და საცხოვრებელი ფართობის დაქირავებისათვის გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

3. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აანაზღაუროს სადღეღამისო ხარჯების ნორმა.

საფუძველი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის მარიანა მკურნალის 2018 წლის 14 ივნისის №01-13341 მოხსენებითი ბარათი.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი დავით სერგეენკო